შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

# ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

პრაქტიკული დავალება პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე შეასრულეთ. პრაქტიკული დავალების (დავალება 26) შესასრულებლად თქვენ დაგირიგდათ ფანქარი, საშლელი და სათლელი.

პრაქტიკული დავალებისათვის  განკუთვნილ ფურცელზე იმუშავეთ ფანქრით! ფანქრის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ამ დავალების შესასრულებლად.

**ტესტის მაქსიმალური ქულაა  60.**

**ტესტის შესასრულებლად გეძლევათ  4  საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

**№ 1-19 დავალების ინსტრუქცია** (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა) - თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

1. რომელ არქიტექტურულ ტიპს მიეკუთვნება სურათზე წარმოდგენილი არქიტექტურული ტაძრის გეგმა?



ა) ტრიკონქს;

ბ) ტეტრაკონქს;

გ) თავისუფალ ჯვარს;

დ) მრავალაფსიდიანს.

2. სიმბოლურად რას განასახიერებს ბრეიგელის მიერ  შექმნილი ცნობილი ფერწერული კომპოზიცია?

ა) ადამიანთა შრომის სიმძიმეს;

ბ) ერთმანეთს აყოლილი ადამიანების ტრაგიკულ ბედს;

გ) ადამიანთა ფსიქოლოგიურ ტიპებს;

დ) ადამიანთა მიერ ერთმანეთის  მხარდაჭერას.

3. რომელია ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურაში მრავალაფსიდიანი ტიპის არქიტექტურის ნიმუში?



ა) სვეტიცხოველი;

ბ) ნიკორწმინდა;

გ) ალავერდი;

დ) ჯვარი.

**4. რომელი თავისებურებით ხასიათდება პალეოლოგოსთა სტილის მხატვრობა?**

ა) გამოსახულება სიბრტყობრივია, კონტურული ნახატი უხეში და კუთხოვანი, ფიგურათა პროპორციები დარღვეული, გამოსახულებათა ფორმები მარტივი და პრიმიტიული;
ბ) კომპოზიცია თავისუფალი და დინამიკურია, ნახატი დახვეწილი, პროპორციული და პლასტიკური, ფორმები რეალისტური და განზოგადებული, კომპოზიციები მოკლებულია დეტალებით თხრობას;
გ) კომპოზიცია მრავალფიგურიანია, ნახატი დინამიკური და ტეხილი, გამოსახულებები უტრირებული, ფორმები ფერწერულად მოდელირებული, იქმნება სივრცის ილუზია, კომპოზიციაში თხრობა დეტალებით ვითარდება;
დ) გამოსახულება უხეშია და მანერული, კოლორიტი მშრალი, კომპოზიციები ზედმეტად დეკორატიული, მონუმენტური მხატვრობა თავისი ხასიათით ხატწერას უახლოვდება.

5. ვინ არის ფოტოზე წარმოდგენილი სკულპტურული კომპოზიციის ავტორი?



ა) ანტონიო კანოვა;

ბ) ლორენცო ბერნინი;

გ) მიქელანჯელო ბუონაროტი;

დ) ოგიუსტ როდენი.

6. რომელი მხატვრული თავისებურებით ხასიათდება ოპიზის ტაძრის რელიეფი?

ა) რელიეფური კომპოზიცია ანატომიის ცოდნის საფუძველზე შექმნილ ადამიანთა მოცულობით გამოსახულებებს წარმოგვიდგენს;
ბ) რელიეფური კომპოზიცია სიბრტყობრივ-ხაზობრივია, გამოსახულებათა პროპორციები დარღვეულია და ექსპრესიული;
გ) კომპოზიციის დინამიზმი დრაპირების გამოსახვის თავისებურებით იქმნება;
დ) ფიგურათა სახეები რეალისტურია, ოსტატი პერსონაჟთა პორტრეტულ დახასიათებას გვთავაზობს.
.

7. რომელი ტაძრის გაფორმების სისტემაშია ჩართული ფოტოზე წარმოდგენილი დეკორატიული კომპოზიცია ?

ა) გელათის;

ბ) სვეტიცხოვლის;

გ) სამთავროს;

დ) სამთავისის.

8. დაადგინეთ, რომელი ცნობილი ნაგებობაა  წარმოდგენილი ფოტოზე?

ა) ბუდაპეშტის პარლამენტის შენობა;

ბ) სანტა მარია დელ ფიორეს ტაძარი;

გ) პალაცო დუკალე;

დ) ვერსალი.

9. მოცემული ფრაგმენტის მიხედვით დაასახელეთ ხელოვნების ნიმუშის ავტორი:

ა) ლორენცო გიბერტი;

ბ) ფილიპო ბრუნელესკი;

გ) ალბერტო ჯაკომეტი;

დ) ანდრეა ვეროკიო.

10. რომელი ეპოქის ან/და მხატვრული მიმდინარეობის ნიმუშია წარმოდგენილი მოცემულ სურათზე?

ა) გოთიკის;

ბ) ნეოკლასიციზმის;

გ) ბაროკოს;

დ) რომანტიზმის.

11. ვინ არის ფოტოზე წარმოდგენილი  სურათის ავტორი?

ა) ლადო გუდიაშვილი;

ბ) მერაბ აბრამიშვილი;

გ) ირაკლი გამრეკელი;

დ) სერგო ქობულაძე.

12. რომელი მხატვრული თავისებურება *<u>არ არის დამახასიათებელი</u>* წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისათვის?

ა) დეკორატიული მორთულობის სიმეტრიული, გაწონასწორებული ხასიათი;

ბ) ცვარას ტექნიკით შექმნილი დეკორატიული მორთულობა;

გ) სტილიზებული გამოსახულებები;

დ) ჭედური ორნამენტის მრავალფეროვნება.

13. რომელ მხატვრულ მიმდინარეობას მიეკუთვნება წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში?

ა) ფუტურიზმს;

ბ) ფოვიზმს;

გ) არ - ნუვოს;

დ) პოპ-არტს.

14. ვინ არის ნიუ-იორკის სოლომონ გუგენჰაიმის სახელობის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის არქიტექტორი?

ა) ზაჰა ჰადიდი;

ბ) ფრენკ ლოიდ რაიტი;

გ) ნორმან ფოსტერი;

დ) ლე კორბუზიე.

15. რომელი მხატვრული ხერხი *<u>არ არის დამახასიათებელი</u>* იან ვერმეერის მიერ შექმნილი სურათისათვის „ქალი წყლის დოქით”?

ა) მკვეთრი ფაქტურული მონასმები;

ბ) კომპოზიციის კადრულობა;

გ) წინა პლანის დეტალიზება;

დ) მოვერცხლისფრო კოლორიტი.

16. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის დეტალის მიხედვით დაასახელეთ ნაწარმოების ავტორი.

ა) ანრი მატისი;

ბ) პაბლო პიკასო;

გ) ხუან მირო;

დ) ედვარდ მუნკი.

**17. რომელი განმარტება გამოხატავს ხაზის  თავისებურებას წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშებზე?**

ა) პირველ სურათზე ხაზი მსუბუქი კონტრასტის ეფექტის  შექმნას ემსახურება, მაშინ როცა მეორე სურათზე ხაზი სივრცის ილუზიის შესაქმნელადაა გამოყენებული;
ბ) პირველ სურათზე ხაზი გამოსახულების ფორმის, მეორე სურათზე კი ზედაპირის მაქმანისებური, რბილი ფაქტურის შესაქმნელად გამოიყენება;
გ) პირველ სურათზე ხაზი სიმეტრიისა და ბალანსის დაცვას ემსახურება, მეორეზე კი ჩრდილის ეფექტს ქმნის;
დ) პირველ სურათზე ხაზი ნეგატიური სივრცის შემომსაზღვრელი, ხოლო მეორე სურათზე კი ილუზორულად სივრცეში თავშეყრის წერტილის შექმნის საშუალებაა.

**18. რომელი მხატვრულ-სტილური თავისებურებებით ხასიათდება სურათზე მოცემული ქართული შუა საუკუნეების ჭედური ხელოვნების ნიმუში?**

ა) მაღალი რელიეფით შესრულებულ  სიმეტრიულ კომპოზიციაში ფიგურული გამოსახულება მოცულობითია და პროპორციული;

ბ) მაღალი რელიეფით შესრულებული პლასტიკური ფიგურისა და დახვეწილი ორნამენტული მოტივების სინთეზით ოსტატი ქართული ოქრომქანდაკებლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს ქმნის;

გ) ხაზობრივი, დეკორატიული ხასიათის დაბალი რელიეფით შესრულებული გამოსახულებები უტრირებული ფორმებით გამოირჩევა;

დ) მაღალი რელიეფით შესრულებულ წელსზევით დაგრძელებულ ფიგურას ფორმათა უტრირება უფრო მანერულობას სძენს, ვიდრე ექსპრესიას.

**19. რომელი ტერმინი შეესაბამება XX საუკუნის მხატვრული სტილების და მიმდინარეობების საერთო სახელწოდებას, რომელიც უარყოფს ტრადიციებს და ახალ გზებს ეძებს ხელოვნებაში?**

ა) გლობალური;

ბ) ავანგარდული;

გ) ფუტურისტული;

დ) ანტაგონისტური.

**№ 20-25 დავალება** (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა). ***„ჭეშმარიტია-მცდარია“***

**დავალების ინსტრუქცია** – ყურადღებით გაეცანით მოცემულ დებულებებს - თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.

**შენიშვნა:** თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისთვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

**ნიმუში:**



20. XVII საუკუნის მიმდინარეობა ევროპულ ხელოვნებაში, რომელსაც ანტიკური კულტურის ზეგავლენა ახასიათებს, რენესანსია.

21. წარმოდგენილი მითოლოგიური პერსონაჟი ძველეგვიპტური კულტურის ნიმუშს წარმოადგენს.

22. წარმოდგენილ  სურათზე ფორმათა უტრირების საშუალებით მხატვარი გამოსახულებას ექსპრესიას სძენს.



23. დაზგურ  მხატვრობაში ნატურმორტი დამოუკიდებელ  მხატვრულ ჟანრად  XX  საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

24. რენესანსის ეპოქის მხატვრობისათვის დამახასიათებელია ძლიერი მოძრაობისაგან დაკუნთული სხეულებით შექმნილი კომპოზიციის დინამიზმი და კონტრასტული განათება.

**25**. შენობის ფასადის დამაგვირგვინებელ სამკუთხა არეს, რომელიც ორქანობა სახურავითაა შემოსაზღვრული, ფრონტონი ეწოდება.

**№ 26 დავალება** (5 ქულა). ***პრაქტიკული სამუშაო***

**ინსტრუქცია** - სანიმუშოდ მოცემულია ანრი მატისის გრაფიკული ჩანახატი. ნიმუშის მიხედვით შექმენით სიბრტყობრივი გამოსახულების მოცულობითი ინტერპრეტაცია. სხვადასხვა ფაქტურის საგნები განასხვავეთ ტონალობის საშუალებით. კომპოზიციური განაწილების პრინციპების გათვალისწინებით გამოსახულება შესაბამისად განათავსეთ სასურათე სიბრტყეზე. დავალება პრაქტიკული სამუშაოსათვის განკუთვნილ ფურცელზე შეასრულეთ.

**№ 27-31 დავალება** (თითოეული დავალება 1 ქულა). ***ქრონოლოგიის განსაზღვრა***

**დავალების ინსტრუქცია** – დაალაგეთ (უძველესიდან უახლესისკენ) მხატვრული მიმდინარეობები, მხატვრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში იწერება მხოლოდ შერჩეული ერთეულის შესაბამისი ციფრი.

27. დაალაგეთ სურათები მათი შექმნის დროის მიხედვით:

1.

2.



3.

4.

28. დაალაგეთ წარმოდგენილი არქიტექტურული ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით:

1.



2.

3.

4.



**29. დაალაგეთ მხატვრული მიმდინარეობები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:**

1. პოსტიმპრესიონიზმი;

2. კლასიციზმი;

3. ოპ-არტი;

4. სიურეალიზმი.

30. დაალაგეთ წარმოდგენილი ისტორიული პირების პორტრეტები მათი შექმნის დროის მიხედვით:

1.

2.

3.

4.

31. დაალაგეთ ავტოპორტრეტები მათი შექმნის დროის მიხედვით:

1.

2.



3.

4.

**№ 32 დავალება** (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა). ***შესაბამისობის დადგენა***

**დავალების ინსტრუქცია -** შეუსაბამეთ **A** ველში მოცემული სახვითი ხელოვნების ტექნიკებს **B** ველში მოცემული ხელოვნების ნიმუშები. გაითვალისწინეთ, ერთ სახეობას მხოლოდ <u>ერთი ნიმუში</u> შეესაბამება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **A** | 1. ოფორტი | 2. პასტელი | 3. ფრესკა | | |
| **B** | ა | ბ. | გ.  | დ. | ე.  |

**№ 33 დავალება** (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა). ***შესაბამისობის დადგენა***

**დავალების ინსტრუქცია -** შეუსაბამეთ **A** ველში მოცემულ მხატვრულ მიმდინარეობებს **B** ველში მოცემული სახვითი ხელოვნების ნიმუშები. გაითვალისწინეთ, ერთ მიმდინარეობას მხოლოდ <u>ერთი ნიმუში</u> შეესაბამება.

| **A** | **B** |
|---|---|
| 1. რომანტიზმი<br>2. არ ნუვო<br>3. სიმბოლიზმი | ა.  <br>ბ. <br>გ. <br>დ. <br>ე. |

# წერითი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები,
რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.
ორივე წერით დავალებას თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.
ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირების (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.
მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი გასაგებად გამოხატული.
გადაიტანეთ ნაშრომი პასუხების ფურცელზე.
პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

№ 34 დავალება (4 ქულა). ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში ჩაფიქრებულია, როგორც ბიბლიური სიუჟეტის ინტერპრეტაცია. მოცემული სურათებიდან შეარჩიეთ ხელოვნების ერთი ნიმუში და დააკავშირეთ ის კონკრეტულ სიუჟეტთან. გააანალიზეთ ნაწარმოები და დაადგინეთ:

1.

2.



**3.**

**4.**

**ა.** სახვითი და კონტექსტუალური თავისებურებები, რომლებიც ავლენს ამ ნაწარმოების მიმართებას თქვენ მიერ დასახელებულ სიუჟეტთან;

**ბ.** რომელი მხატვრული ხერხების საშუალებით გამოხატავს ავტორი ნაწარმოების იდეას?

**№ 35** (15 ქულა) **დავალება. ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი**.
გაიაზრეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ ქვემოთ მოცემული ხელოვნების ნიმუში.

**შეასრულეთ დავალება მითითებების მიხედვით:**

**35.1** (3 ქულა) აღწერეთ და დაახასიათეთ კომპოზიცია; რომელ ჟანრს განეკუთვნება მოცემული კომპოზიცია? მასალისა და ტექნიკის საფუძველზე ამოიცანით სახვითი ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი;

**35.2** (3 ქულა) **გააანალიზეთ** და მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა სახვით საშუალებებსა და ხერხებს იყენებს ავტორი მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად სურათზე;

**35.3** (3 ქულა) მხატვრულ-სტილური მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრეთ ნამუშევრის შექმნის დრო; დაადგინეთ, რომელი ქვეყნის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, დაასახელეთ ავტორი;

**35.4** (3 ქულა) შეაფასეთ ნამუშევარი – გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;

**35.5** (3 ქულა) იმსჯელეთ გავლენებზე, განიხილეთ ნაწარმოები ისტორიულ-კულტურულ და ა. შ. კონტექსტში.